პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР и Грузинского Республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 12 (714). | ოთხშაბათი, 10 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 30 კაპ.

საბჭოთა ხალხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელა თავისი საუკეთესო შვილები, კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

ღია წერილი საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერლებმა, თვითეულმა ცალკე მივიღეთ სხვადასხვა საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულებისა და სხვადასხვა ოლქისა და ოკრუგის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო თათბირების წერილები და დეპეშები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ჩვენი დასახელების შესახებ მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში, თხოვნით დავთანხმდეთ კენჭი ვიყაროთ ამ ოლქებში.

დიდ მადლობას ვუხდით ნდობისათვის ყველა ამხანაგ ამომრჩევლებს, რომლებმაც ჩვენი კანდიდატურები დაასახელეს.

იმის გამო, რომ კანონით ყოველ ჩვენგანს შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში, ჩვენ, როგორც კომუნისტებმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, მითითებისათვის მივმართეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გვირჩია კენჭი ვიყაროთ შემდეგ საარჩევნო ოლქებში:

ბუდიონი ს. მ. — კავშირის საბჭოში, ხმელნიცკის ოლქის შეპეტოვკის საარჩევნო ოლქი, უკრაინის სსრ,

ბულგანინი ნ. ა. — ეროვნებათა საბჭოში, მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი,

ვასილევსკი ა. მ. — ეროვნებათა საბჭოში, ვორონეჟის საარჩევნო ოლქი, რსფსრ,

ვოროშილოვი კ. ე. — კავშირის საბჭოში, კიროვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ლენინგრადი,

ჟუკოვი გ. კ. — კავშირის საბჭოში, ნიჟნი-ტაგილის საარჩევნო ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი,

კაგანოვიჩი ლ. მ. — კავშირის საბჭოში, ტაშკენტის ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ტაშკენტი,

კირიჩენკო ა. ი. — კავშირის საბჭოში, კიევის ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი კიევი,

მალენკოვი გ. მ. — კავშირის საბჭოში, ლენინგრადის საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი,

მიქოიანი ა. ი. — ეროვნებათა საბჭოში, ერევნის სტალინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ერევანი,

მიხაილოვი ნ. ა. — კავშირის საბჭოში, კიევის საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი,

მოლოტოვი ვ. მ. — კავშირის საბჭოში, მოლოტოვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი,

პერვუხინი მ. გ. — კავშირის საბჭოში, თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი თბილისი,

პონომარენკო პ. კ. — ეროვნებათა საბჭოში, ალმა-ატის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ქალაქი ალმა-ატა,

პოსპელოვი პ. ნ. — ეროვნებათა საბჭოში, კურსკის საარჩევნო ოლქი, რსფსრ,

საბუროვი მ. ზ. — კავშირის საბჭოში, მინსკის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ქალაქი მინსკი,

სუსლოვი მ. ა. — კავშირის საბჭოში, სარატოვის ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი სარატოვი,

ხრუშჩოვი ნ. ს. — კავშირის საბჭოში, კალინინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი,

შატალინი ნ. ნ. — კავშირის საბჭოში, ალექსანდრეს საარჩევნო ოლქი, ვლადიმირის ოლქი,

შვერნიკი ნ. მ. — ეროვნებათა საბჭოში, სვერდლოვსკის საარჩევნო ოლქი, რსფსრ,

შელეპინი ა. ნ. ეროვნებათა საბჭოში, ჩრდილოეთის საარჩევნო ოლქი, რსფსრ,

ჩვენ შესასრულებლად მივიღეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს რჩევა.

ამასთან დაკავშირებით ვთხოვთ შესაბამის საარჩევნო კომისიებს განიხილონ ჩვენი ეს განცხადება როგორც დოკუმენტი დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის დროს.

ბუდიონი ს. მ.	მოლოტოვი ვ. მ.
ბულგანინი ნ. ა.	პერვუხინი მ. გ.
ვასილევსკი ა. მ.	პონომარენკო პ. კ.
ვოროშილოვი კ. ე.	პოსპელოვი პ. ნ.
ჟუკოვი გ. კ.	საბუროვი მ. ზ.
კაგანოვიჩი ლ. მ.	სუსლოვი მ. ა.
კირიჩენკო ა. ი.	ხრუშჩოვი ნ. ს.
მალენკოვი გ. მ.	შატალინი ნ. ნ.
მიქოიანი ა. ი.	შვერნიკი ნ. მ.
მიხაილოვი ნ. ა.	შელეპინი ა. ნ.

1954 წლის 6 თებერვალი.

გავაუმჯობესოთ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობა

„შეგნებული გვაქვს რა, რომ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, ჩვენ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილენი, შინ დაბრუნების შემდეგ, კოლმეურნე აქტივისტებთან, მტს-ების მუშებსა და სპეციალისტებთან ერთად ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით თვითეული მტს-ის, თვითეული კოლმეურნეობის, თვითეული სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადის, თვითეული ფერმისათვის შევიმუშავებთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის აღმავლობისა და მეცხოველეობის განვითარების კონკრეტულ ღონისძიებებსა და ვალდებულებებს. თვითეული ჩვენგანი იქნება ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე მტს-ების მუშაკთა და კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრებისა, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მარცვლეული კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის, ბამბის, სელის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირის, საკვები, ბალჩეული და სხვა კულტურების მოსავლიანობის 1954 წლისათვის დაწესებული გეგმები, აგრეთვე პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების გეგმები" — აღნიშნული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწვეული მტს-ების მუშაკთა საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვაში საბჭოთა კავშირის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ყველა მუშის, სპეციალისტისა და მოსამსახურისადმი.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამ მიმართვაში ნათლადაა მოცემული ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიური აყვავების პერსპექტივები. მანქანა-ტრაქტორთა მუშაკები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ყველაფერს გააკეთებენ, რათა სასახელოდ შეასრულონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, საკუთარ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი— საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ მოწვეული საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვა საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშის, სპეციალისტისა და მოსამსახურისადმი. როგორც პირველში, ისე აქაც ლაპარაკია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობაზე, მოსავლიანობის გადიდებაზე, ჩვენს ბედნიერ ცხოვრებაზე.

ეს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების განუხრელად შესრულებისაკენაა მიმართული, ბევრ რამეს ავალებს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი „კოლმეურნესა" და „უროჟაის", რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ სოფლად მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლას.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. უფრო მეტიც, ბევრგან მუშაობა ჩაშლილია. ხაშურისა და გომის მტს-ებში ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ჩამოყალიბება მხოლოდ გასული წლის დეკემბერში მოახერხეს. მაგრამ საქმე წინ არ წასულა. ხაშურის მტს-ში მხოლოდ ერთი ღონისძიება ჩაატარეს (ქადრაკში) და ისიც უხარისხოდ. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ფიზკულტურის ზოგიერთი მუშაკი ჯეროვნად არ გაცნობია სექტემბრის პლენუმის ისტორიულ დადგენილებას, არ ესმის თუ ამ დადგენილებაში რა წვლილი უნდა შეიტანოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, მასზე მინდობილ საქმეს ზერელედ ეკიდება და ამიტომ სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვან უბანზე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული.

პირველი, რაზედაც ყურადღება უნდა გავამახვილოთ, არის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცება, მათი საქმიანობის გამოცოცხლება, საქმიანი აქტივის შექმნა და მრავალფეროვან მუშაობაში მისი ჩაბმა. ამ საქმეს ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ჯანმრთელობის განყოფილებამ „უროჟაისა" და „კოლმეურნის" რაიონულმა საბჭოებმა. დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ კომკავშირულ ორგანიზაციებსაც.

მუშაობის გამოცოცხლებისათვის აუცილებლად დაგვჭირდება საზოგადოებრივი კადრები. სანამ მათ ადგილებზე მოამზადებენ, ფიზკულტურის რაიონის ხელმძღვანელობამ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს უნდა დაახმარონ საზოგადოებრივი მუშაკები. ისინი პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ სექციებს, მოაგვარებენ ორგანიზაციულ საკითხებს, იზრუნებენ მარტივი ტიპის ბაზების მოწყობაზე.

მიმდინარე წელს მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების აპარატებს მრავალი ინჟინერი, ტექნიკოსი და აგრონომი შეემატა. საჭიროა ისინიც ჩავაბათ კოლექტივის საქმიანობაში, მასობრივ ფიზკულტურულ ღონისძიებებში. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ნაყოფიერი შრომის შემდეგ სოფლის მეურნეობის მუშაკებს აქტიური დასვენების ყოველგვარი პირობა ჰქონდეთ.

სოფლად მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გაშლა მარტო „კოლმეურნესა" და „უროჟაის" როდი ეხება. საჭიროა ამ პატრიოტულ საქმეში ყველამ მივიღოთ მონაწილეობა. სპორტულმა საზოგადოებებმა, დიდი საწარმოებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შეფობა უნდა აიღონ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ძირეულ ფიზკულტურულ ორგანიზაციებზე. უნდა ჩამოვაყალიბოთ სპორტული ბრიგადები, რომლებიც ადგილებზე გაუწევენ დახმარებას, ჩაატარებენ საჩვენებელ მეცადინეობებს, გააცნობენ საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა სპორტის მიღწევებს.

ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები მოწოდებული არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნისტური პარტიის სექტემბრის პლენუმის სასახელოდ შესრულებაში, იბრძოლონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ფიზიკურ გაკაჟებაზე, მათი შრომისუნარიანობის შემდგომ ამაღლებაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის—კალინინის № 625 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინის რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული ოქმები კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის—კალინინის № 625 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინის დასახელების შესახებ და განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში დამსახელებელი ორგანიზაციებიდან, საოლქო საარჩევნო კომისიამ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოარკვია, რომ მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 57, 58, 59, 60, 61 და 62 მუხლების სრული შესაბამისობით.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 63-ე მუხლის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის—კალინინის № 625 საარჩევნო ოლქში კენჭისყრელად რეგისტრაციაში გატარებულ იქნას მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი, 1904 წელს დაბადებული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მინისტრი, ქალაქ მოსკოვის მცხოვრები, დასახელებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების, წევრ-კორესპონდენტების, მეცნიერი თანამშრომლებისა და მოსამსახურეების, თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივის, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის, საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის წევრების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის —მარქს—ენგელს — ლენინ—სტალინის ინსტიტუტის ფილიალის, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის, რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივების, მარნეულის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრების, დმანისის რაიონის კალინინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრების, ბოლნისის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრების და სხვ. საერთო კრებებ[ი]მიერ.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ა[რ]ჩევნების დებულების" 65-ე მუხ[ლის] საფუძველზე მიხეილ გიორგის-ძე პე[რ]ვუხინის კანდიდატურა შეტანილ იქნ[ა] საარჩევნო ბიულეტენში კავშირის სა[ბ]ჭოს არჩევნების თბილისის — კალი[ნი]ნის № 625 საარჩევნო ოლქში კენჭ[ის]საყრელად.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბ[ჭოს] არჩევნების დებულების" 64-ე მუხ[ლის] შესაბამისად ეს დადგენილება გამო[ქ]ვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვ[ის].

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გ. ს. გელაშვილი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ა. ქ. ხარაძე

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები ნ. შ. მგალობლიშვილი, მ. ნ. გუჯეჯიანი, ქ. ნ. პოლიაკოვა, ნ. ე. ადამოვი, ა. ლ. მაჩკალიანი, ტ. დ. ნათელაშვილი

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი დ. ვ. მოსელიანი

ქ. თბილისი, 1954 წლის 8 თებერვალი.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატი

ამხ. მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მინისტრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1919 წლიდან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ამხ. მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი დაიბადა 1904 წელს ურალზე, მუშა-მჭედლის ოჯახში, ჩელიაბინსკის ოლქის (ყოფილი ზლატოუსტის მაზრის) დაბა იურიუზანში.

1919 წლის ივნისში იგი კომკავშირში შევიდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქალაქ ზლატოუსტის კომკავშირული ორგანიზაციის შექმნაში.

თავისი საზოგადოებრივი მუშაობით იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქალაქის პარტიულ ორგანიზაციასთან და მას კარგად იცნობდა ბევრი კომუნისტი, როგორც პროლეტარული რევოლუციის საქმის ერთგულ მუშაკს. ამიტომ 1919 წლის სექტემბერში, ჯერ კიდევ 15 წლის ჭაბუკი, ამხ. პერვუხინი კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა.

1920 წელს ამხ. პერვუხინმა დაამთავრა სკოლის გარეშე ინსტრუქტორთა კურსები და იურიუზანის რაიონის ინსტრუქტორად მუშაობდა.

1921 წლის იანვრიდან 1922 წლის აგვისტომდე იგი მუშაობდა რკპ (ბ) სამაზრო კომიტეტის გაზეთის რედაქციის მდივნად, იყო კომკავშირის ზლატოუსტის სამაზრო კომიტეტის ბიუროს წევრი.

1919-1922 წლების განმავლობაში პარტიულ-კომკავშირულ მუშაობასთან ერთად ამხ. პერვუხინი საღამოობით სწავლობდა საშუალო სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

1922 წელს ამხ. პერვუხინი მივლინებულ იქნა მოსკოვის პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში ელექტრომრეწველობის ფაკულტეტზე, აღნიშნულ ინსტიტუტში სწავლობდა 1929 წლამდე, დაამთავრა იგი და მიიღო ტიპური რაიონული ელექტროსადგურების ინჟინერ-ელექტრიკოსის წოდება.

სტუდენტობის წლებში ამხ. პერვუხინი დიდ საზოგადოებრივ, პარტიულ მუშაობას ეწეოდა და არაერთხელ იყო არჩეული ფაკულტეტისა და ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრად. ამ წლებში აქტიურ ბრძოლას ეწეოდა ტროცკისტებთან, მემარჯვენე ოპოზიციონერებთან და ხალხის სხვა მტრებთან, თანმიმდევრულად იცავდა კომუნისტური პარტიის გენერალურ ლენინურ ხაზს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ინჟინრად მუშაობდა „მოსენერგოში".

1930 წლის მაისში პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამხ. პერვუხინს გზავნის სამხედრო მრეწველობაში, დიდ მანქანათმშენებელ ქარხანაში, სადაც იგი მუშაობს ენერგოსაამქროს გამგედ, ქარხნის მთავარ მექანიკოსად, ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილედ.

1933 წლის იანვარში ამხ. პერვუხინი გადაჰყავთ კავშირის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, სადაც მუშაობს 1937 წლამდე — ჯერ საქვაბე საამქროს უფროს ინჟინრად, იმავე საამქროს უფროსად, ხოლო შემდეგ ელექტროსადგურის დირექტორად.

1937 წელს მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი ინიშნება „მოსენერგოს" მთავარ ინჟინრად და მმართველის მოადგილედ, ხოლო 1937 წლის სექტემბერში — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავენერგოს" უფროსად.

1938 წლის დამდეგს ამხ. პერვუხინი დაწინაურებულ იქნა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობაზე, სადაც იმუშავა სახალხო კომისარიატის გაყოფამდე.

1939 წლის იანვარში ამხ. პერვუხინი დაინიშნა ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისრად.

კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობაზე ამხ. პერვუხინი არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1940 წლის აპრილში მიხეილ გიორგის-ძე დამტკიცებულ იქნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში, 1942 წლის თებერვალში, ამხ. პერვუხინი ინიშნება სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისრად, ხოლო 1946 წლიდან — მინისტრად.

ომის პირველ წლებში სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობა ძლიერ დაზარალდა საომარი მოქმედებისაგან და 1942 წელს ქიმიური მრეწველობის საწარმოო სიმძლავრე ომამდელთან შედარებით ძლიერ შემცირდა.

ქიმიურ მრეწველობაში მუშაობის დროს ამხ. პერვუხინმა, რომელიც განათლებით ქიმიკოსი არ არის, კარგად შეისწავლა ქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია და დარაზმა ქიმიური მრეწველობის მუშაკები ქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ამასთან გამოიჩინა ლენინურ-სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწის ორგანიზატორული ნიჭი, მთელ თავის ძალღონეს ახმარდა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1950 წლის იანვარში მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი დაინიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ამასთან განთავისუფლებულ იქნა ქიმიური მრეწველობის მინი[ст]რის მოვალეობისაგან.

1953 წლის მარტში ამხ. პერვუხ[ინი] დაინიშნა ელექტროსადგურებისა [და] ელექტრომრეწველობის გაერთიანებ[უ]ლი სამინისტროს მინისტრად.

ამხ. პერვუხინი როგორც საინჟინ[რო] მოღვაწეობის პირველ წლებში, [ისე] თავისი მუშაობის ბოლო წლებშიც, [ყო]ველთვის დიდ ყურადღებას აქცე[ვს] ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცი[ის] განვითარებას, ელექტროენერგეტ[იკის] ტექნიკის სრულყოფას, ელექტროსა[დ]გურების მუშაობის გაუმჯობესებ[ას], ახალი ტექნიკის დანერგვას.

კომუნისტური პარტიისა და საბ[ჭო]თა მთავრობის გეგმებით, ჩვენს ქვე[ყა]ნაში სწრაფი ტემპით ვითარ[დება] ენერგეტიკული მეურნეობა, შენ[დება] ჰიდროელექტროსადგურები და თ[ბო]ელექტროსადგურები.

დიდი სამამულო ომის წლებში [ამხ.] პერვუხინს მიენიჭა საინჟინრო-ტე[ქნი]კური სამსახურის გენერალ-ლეიტ[ენან]ტის წოდება.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსა[ხუ]რებისათვის მიხეილ გიორგის-ძე პ[ერ]ვუხინს სოციალისტური შრომის გ[მი]რის წოდება მიენიჭა.

იგი აგრეთვე დაჯილდოებუ[ლია] ლენინის ორი ორდენით და შრო[მის] წითელი დროშის ორდენით. ამხ. [მ.] პერვუხინი არის სსრ კავშირის მე[ორე] და მესამე მოწვევის უმაღლესი საბ[ჭოს] დეპუტატი, მოსკოვის მშრომელთა [დე]პუტატების საქალაქო საბჭოს დეპუ[ტა]ტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტ[ური] პარტიის XIX ყრილობაზე ამხ. [მ.] პერვუხინი არჩეულ იქნა სკკპ ცენტ[რა]ლური კომიტეტის წევრად.

1952 წ. ოქტომბერში კომუნისტ[ური] პარტიის ცენტრალური კომიტ[ეტის] პლენუმმა იგი სკკპ ცენტრალური [კო]მიტეტის პრეზიდიუმის წევრად [ა]ირჩია.

ჭ ი დ ა ო ბ ი ს შ ე მ დ გ ო მ ი მ ა ს ო ბ რ ი ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

1954 წლის 28 იანვარს საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს კულტურისა და ფიზკულტურის განყოფილებამ განიხილა „კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს პროფსაბჭოს 1953 წ. პირად-გუნდური პირველობისა და რესპუბლიკის უწყებათა შორის შეჯიბრებაზე პროფსაბჭოს ნაკრები გუნდების (კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში) მონაწილეობის საკითხი".

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ 1953 წელს საქართველოს პროფსაბჭოს პირად-გუნდურ პირველობაში (კლასიკურ ჭიდაობაში) მონაწილეობა მიიღო 52 მოჭიდავემ. კარგ შედეგებს მიაღწიეს „ისკრის" (პირველი ადგილი), „მედიკის" (მეორე ადგილი) და „ნაუკის" (მესამე ადგილი) გუნდებმა. მოწონება დაიმსახურა მსაჯთა კოლეგიის მუშაობამ (მთავარი მსაჯი ვ. კუხიანიძე) და საქართველოს პროფსაბჭოს ნაკრები გუნდების კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში მიღწეულმა შედეგებმა. ნაკრებმა გუნდებმა დაიკავეს პირველი ადგილი, რისთვისაც ისინი დაჯილდოვდნენ გარდამავალი თასებით და პირველი ხარისხის დიპლომებით.

ამასთან ერთად პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ პროფსაბჭოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების უმრავლესობა ჯერ კიდევ არასისტემატურად ატარებენ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას კლასიკურ ჭიდაობაში, რის შედეგად „უროჟაის", „ტრუდის", „კრასნოე ზნამიასა" და „პიშჩევიკის" გუნდებმა ვერ შეძლეს მთლიანი შემადგენლობით შეჯიბრებაში მონაწილეობა. უფრო მეტიც, „ლოკომოტივი" და „ბურევესტნიკი" შეჯიბრებაში სრულებით არ მონაწილეობდნენ.

სპორტსაზოგადოებებში სუსტად არის დაყენებული მათ ნიშნოსნებისა და სპორტული თანრიგოსნების მომზადების საქმე. ძალზე მცირეა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობის სექციებში მომეცადინეთა რიცხვი. „კრასნოე ზნამიას" საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ შეჯიბრებაზე გამოიყვანა მოჭიდავეები რ. რაზმაძე და ბ გუგუშვილი, რომლებიც სხვა საზოგადოების წევრები არ[ი]ან. იყო ისეთი ფაქტიც, რომ ერთი [და] იგივე მონაწილე (მეჯარიმე) ერთდროულად შეტანილი იყო „[ნაუ]კის" და „ტრუდის" განაცხადში.

პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილ[ება] საქართველოს პროფსაბჭოს სპო[რტ] საზოგადოებებში კლასიკური და [თა]ვისუფალი ჭიდაობის შემდგომი [გა]უმჯობესებისათვის.

პრეზიდიუმის დადგენილებით [პირად-გუნ]დურ პირველობაში გამარჯვებუ[ლები] დაჯილდოებული არიან სიგელ[ებით].

ნ. ხნირტლაძ[ე]

სპორტული ცხოვრება

«ისკრა»

ხუთი უძლიერესი გუნდი მონაწილეობდა „ისკრის“ რესპუბლიკურ პირველობაზე სათხილამურო სპორტში, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა ბაკურიანში. აქ იყვნენ თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის, ქუთაისისა და ბათუმის პედინსტიტუტების, ბორჯომისა და მესტიის „ისკრის“ სპორტსმენები.

ბაკურიანის პარკში სტარტი მიეცა ვაჟთა ამანათრბენს 4×5 კილომეტრზე. ამ დისტანციაზე ბორჯომელმა სპორტსმენებმა ადვილად სძლიეს მოწინააღმდეგეებს და გაიმარჯვეს. მათი შედეგია 1.44:55. მეორე ადგილი წილად ხვდა მესტიის გუნდს, მესამე — თბილისის უცხო ენების ინსტიტუტს. ამავე თანმიმდევრობით განაწილდა საპრიზო ადგილები ქალთა ამანათრბენში 3×5 კმ-ზე.

მთიდან სწრაფდაშვებაში I-II ადგილები გაიყვეს ბორჯომის წარმომადგენლებმა ა. ჯეირანაშვილმა და ი. სვანიძემ, მესამეზეა მესტიელი ა. დადვანი. ქალთა შორის გაიმარჯვა უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ყოროშვილმა. მან მანძილი 17,7 წამში დაფარა. მეორე ადგილი მოიპოვა გორის პედინსტიტუტის წარმომადგენელმა ქ. ბანდურმა.

საინტერესო იყო ვაჟთა და ქალთა შეჯიბრება 30 და 10 კილომეტრზე რბენაში.

ვაჟთა შორის გაიმარჯვა ვ. მიხაილოვმა (ბორჯომი). ქალებიდან პირველი იყო ბორჯომელი ლ. ბანდური (58:30).

ორივე დისტანციაზე გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ბორჯომის გუნდმა.

სლალომის ტრასა პირველი ცდით ბორჯომელმა ა. ჯეირანაშვილმა 33,2 წამში დაფარა, მეორე ცდით 32,4 წამში და გაიმარჯვა. ქალთა შორის პირველი იყო გორის პედინსტიტუტის სტუდენტი ქ. ბანდური

საერთო გუნდური პირველობა ბორჯომის რაიონის გუნდს მიეკუთვნა.

«მედიკი»

ბაკურიანში ხუთ დღეს გრძელდებოდა „მედიკის“ რესპუბლიკური პირადი პირველობა სათხილამურო სპორტში.

5 კილომეტრზე რბენაში 14 მონაწილე ქალიდან პირველი ადგილი და ჩემპიონობა მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა თ. დიაკონაშვილმა (28:26). 10 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა ფიზკულტურის ტექნიკუმელმა ვ. ვაკამ (53:50).

10 კილომეტრი ვაჟთა შორის ყველაზე ადრე გაირბინა ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტმა ა. ქუმარიტაშვილმა (49·15). მანვე გაიმარჯვა 18 კილომეტრზე რბენაში, მეორეზეა ზ. თვაური, მესამეზე — ა. პირველი.

150 მეტრიანი სლალომის ტრასა ქალებიდან ორი ცდით ყველაზე მცირე დროში (1:36,1) დაფარა ვ. გავამ (ფიზკულტურის ტექნიკუმი). მ. მიხაილოვა გამარჯვებულს 4 წამით ჩამორჩა.

ვაჟთა შორის სპორტის ამ სახეობაში პირველი იყო ვ. მელკუმოვი (48,1), მეორე ადგილზეა მ. ნაგოგა, მესამეზე — ზ. თვაური. ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა ტრამპლინიდან ხტომასა და სამთო ორჭიდში.

საბჭოთა მოჭიდავეების ბრწყინვალე გამარჯვება

ოსლოში (ნორვეგია) 5 თებერვალს ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში — კინოთეატრ „კოლოსეუმში“ დაიწყო სსრ კავშირისა და ნორვეგიის მოჭიდავეთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება, რომლის პროგრამაში იყო თავისუფალი ჭიდაობა.

პირველ წყვილში ერთმანეთს შეხვდნენ უმძიმესი წონის მოჭიდავეები — ა. კარავაევი (სსრ კავშირი) და რიკარდ ჰეიბიუ (ნორვეგია). კარავაევმა ნორვეგიელი მოჭიდავე მე-7 წუთზე ორივე ბეჭზე დასცა. მეორე წყვილში გამოვიდნენ მჩატე წონის მოჭიდავეები ვ. გოგიაძე (სსრ კავშირი) და ჩელ სტენ-ნილსენი. ქულებით გაიმარჯვა გოგიაძემ. ქვემსუბუქ წონაში დენიკოვმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა არნე ჰოკონსენზე.

მსუბუქ წონაში ე. რუნგემ ქულებით მოუგო უძლიერეს ნორვეგიელ მოჭიდავეს ბიერნ ლარსონს. ქვესაშუალო წონის მოჭიდავეების მ. დადაშევისა (სსრ კავშირი) და ო. ვარგსეტის (ნორვეგია) შეხვედრა აგრეთვე დამთავრდა საბჭოთა მოჭიდავის გამარჯვებით. საშუალო წონაში გ. კარტოზიამ (სსრ კავშირი) მე-11 წუთზე ბეჭებზე დააწვინა ცნობილი ნორვეგიელი მოჭიდავე ბიერნ ზენდენქსენი.

ქვემძიმე წონაში ო. კანდელაკმა (სსრ კავშირი) მე-9 წუთზე წააქცია ნორვეგიელი ბიერნ კისეროუდა, ხოლო მძიმე წონაში ა. მეკოკიშვილმა (სსრ კავშირი) მე-2 წუთზე სუფთა გამარჯვება მოიპოვა ეინარ ტორგერსენზე.

მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა მოჭიდავეების დამსახურებულ გამარჯვებას (8:0).

• • •

მეორე დღეს „ტიურნჰალენის“ სპორტულ დარბაზში გრძელდებოდა საბჭოთა და ნორვეგიელი მოჭიდავეების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. პროგრამაში იყო კლასიკური ჭიდაობა.

უმძიმეს წონაში ა. კარავაევმა 3 წუთში გაიმარჯვა რ. ჰეიბიუსთან. ქვემსუბუქ წონაში ი. დენიკოვმა მე-4 წუთზე ბეჭებზე დასცა ა. ჰოკონსენი. მ. დადაშევმა (ქვესაშუალო წონა) ქულებით მოიპოვა გამარჯვება ო. ვარგსეტთან შეხვედრაში. საბჭოთა ფალავანს ა. მეკოკიშვილს (მძიმე წონა) მხოლოდ 1 წუთი დასჭირდა ნორვეგიელი ე. ტორგერსენის დასამარცხებლად.

ქვემძიმე წონაში ო. კანდელაკმა მე-2 წუთზე ბეჭებზე დასდო ო. ბარლი. მჩატე წონითი კატეგორიის სპორტსმენების ვ. გოგიაძისა და ჩ. ნილსენის შერკინება დამთავრდა საბჭოთა მოჭიდავის გამარჯვებით. მსუბუქ წონაში ე. რუნგემ (სსრ კავშირი) ქულებით წააგო ო. ერიკსენთან (ნორვეგია). გ. კარტოზიამ (საშუალო წონა) მე-10 წუთზე წააქცია ნორვეგიელი ბ. ბენდიკსენი.

ამრიგად, ორი დღის საერთაშორისო ამხანაგურ ასპარეზობაში საბჭოთა მოჭიდავეებმა მოიპოვეს 15 გამარჯვება და წააგეს 1 შეხვედრა.

ახალი მსოფლიო რეკორდი

ამას წინათ ლენინგრადში „მედიკის“ შეჯიბრებაზე მძლეოსნობაში ახალგაზრდა კიეველმა სპორტსმენმა ნადეჟდა კონიაევამ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი შუბის ტყორცნაში. მისი შედეგი — 53 მეტრი და 56 სანტიმეტრი, 15 სანტიმეტრით აღემატება მსოფლიო რეკორდს, რომელიც დამყარებულ იქნა 1949 წელს საბჭოთა სპორტსმენ ნ. სმირნიცკაიას მიერ.

ბორის შილკოვი—ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი

იაპონიის ქალაქი საპორო. გაისმა სსრ კავშირის ჰიმნის დიდებული ჰანგები და მარუიამ-რინგის ანძაზე აღიმართა ჩვენი სამშობლოს ალისფერი დროშა. 12 ათასზე მეტი მაყურებელი აღტაცებული მიესალმა ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში ახლახან დამთავრებულ მსოფლიო პირველობაზე გამარჯვებულს. დაფნის გვირგვინით შემკობილმა მსოფლიო ჩემპიონმა,საბჭოთა მოციგურე ბორის შილკოვმა ყინულის ბილიკზე საპატიო წრე გააკეთა.

ბ. შილკოვი

ორი დღის განმავლობაში კუნძულ ჰოკაიდოზე საბჭოთა კავშირის, ნორვეგიის, ფინეთის, შვეციის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის უძლიერესი მოციგურეები ერთმანეთს ეცილებოდნენ მსოფლიო ჩემპიონობას. გაიმარჯვა უძლიერესმა.

...ბორის შილკოვი 27 წლისაა. იგი ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია. ინსტიტუტში სწავლამდე ბორისი ხუთი წლის განმავლობაში ტექნიკოსად მუშაობდა მოსკოვის კიროვის სახელობის ქარხანაში.

პირველი დიდი გამარჯვება შილკოვმა მოიპოვა 1952 წელს საკავშირო შეჯიბრებაში. გამოდიოდა რა უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად, ბორისმა კლასიკური მრავალჭიდის ჯამში 191,808 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.

1953 წლის დასაწყისში ბორის შილკოვი გამარჯვებული გამოვიდა მოსკოვში მოწყობილ საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობდნენ შვეციისა და სსრ კავშირის მოციგურეები. მალე მან ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაიმსახურა.

ბორისი ჩინებულად მოემზადა მიმდინარე წლის სეზონისათვის. სვერდლოვსკში მოწყობილ პირველსავე შეჯიბრებაში მან წარმატებას მიაღწია. დეკემბერში მოსკოვში მოეწყო საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ნორვეგიისა და საბჭოთა სპორტსმენები. აქ გამარჯვება კვლავ ბორის შილკოვს ხვდა წილად.

საპოროში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა საბჭოთა მოციგურემ ბორის შილკოვმა, მეორე ადგილი დაიკავა ოლეგ გონჩარენკომ, მესამე — ევგენი გრიშინმა. ოთხივე დისტანციაზე გამარჯვება ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებს.

მსოფლიო პირველობის გათამაშებიდან რამდენიმე დღე გავიდა, რომ საბჭოთა მოციგურეები შვეიცარიაში მიიწვიეს ევროპის პირველობის გათამაშებაზე. შეჯიბრება ტარდებოდა დავოსის მაღალმთიან საციგურაოზე. აქ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში 30-ჯერ გაუმჯობესდა მსოფლიო რეკორდები. ამიტომ მას „მსოფლიო რეკორდების ქარხანას“ უწოდებენ. მაგრამ ... ალმა-ატის მახლობლად გაიხსნა მაღალმთიანი საბჭოთა საციგურაო და დავოსის სახელი თანდათან დავიწყებას მიეცა, რადგან ალმა-ატაში 3 წლის განმავლობაში ჩვენმა სპორტსმენებმა რამდენჯერმე გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდები. ამჟამად 13 ოფიციალური მსოფლიო რეკორდიდან 7 დამყარებულია ალმა-ატაში, 5 — დავოსში, ხოლო ერთი — ნორვეგიის ქალაქ ხამარაში.

საბჭოთა მოციგურეთა დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი ბორის შილკოვი, ოლეგ გონჩარენკო, ევგენი გრიშინი და საკუნენკო, დიდი ინტერესით შეხვდა შვეიცარიის სპორტული საზოგადოებრიობა. ფოტორეპორტიორები „იერიშზე“ გადავიდნენ, რათა თავიანთი აპარატის ობიექტივში მოექციათ საბჭოთა სპორტსმენები.

6 თებერვალს ევროპის პირველობის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ დაიწყო უძლიერესთა ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ინგლისის, ავსტრიის, შვეციის, ჰოლანდიის, იტალიის, ფინეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

აქ ბ. შილკოვმა კარგი შედეგი აჩვენა — ოთხჭიდის ჯამში 189.168 ქულა დააგროვა და მოიპოვა ევროპის 1954 წლის ჩემპიონის სახელი. მეორე ადგილი მიეკუთვნა ანდერსენს (ნორვეგია).

დასასრულ შედგა გამარჯვებულთა დაჯილდოება. ბ. შილკოვი შეამკეს ჩემპიონის დაფნის გვირგვინით. მრავალრიცხოვანი მაყურებელი გულთბილად მიესალმა ევროპის ახალ ჩემპიონს — საბჭოთა სპორტსმენ ბორის შილკოვს.

190 შეხვედრის შემდეგ

საკავშირო XXI ჩემპიონატმა, რომელიც ერთ თვეს გრძელდებოდა, საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონის ოქროს მედლისათვის მებრძოლთა შორის არ იყვნენ ჩვენი სახელგანთქმული გროსმაისტერები მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, დ. ბრონშტეინი, პ. კერესი, ა. კოტოვი და ი. ბოლესლავსკი, ინტერესი შეჯიბრებისადმი უკანასკნელ ტურამდე არ დამცხრალა. ეს გასაგებიცაა, საბჭოთა საჭადრაკო სკოლას, რომელიც მ. ჩიგორინისა და ა. ალიოხინის სახელოვანი ტრადიციების განმგრძობია, ეზრდება ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკეთა პლეადა.

ი. ავერბახი

ჩემპიონატში მონაწილეობდა სამითობის 20 უძლიერესი მოჭადრაკე — 7 გროსმაისტერი და 13 ოსტატი.

სატურნირო ბრძოლამ უკანასკნელ ტურამდე შეინარჩუნა სიმწვავე. იმის მიუხედავად, რომ ზოგჯერ სატურნირო მდგომარეობა ყაიმზე თამაშს მოითხოვდა, მონაწილეთა უმრავლესობა რთული პოზიციებისაკენ ისწრაფვოდა. 190 პარტიიდან, რომელიც ჩემპიონატში გათამაშდა, 107 პარტია შედეგიანი იყო. ტურნირში რამდენჯერმე შეიცვალა ლიდერი. ჯერ წინ იყო ფურმანი, შემდეგ კორჩნოი. მან მერვე ტურიდან ისეთი ტემპი განავითარა, რომ ყველანი მზად იყვნენ მისთვის წინასწარ მიელოცათ ჩემპიონობა. მაგრამ მას ბოლომდე „დენთი არ ეყო“ და ლიდერობა გროსმაისტერ ავერბახს გადაულოცა. ამ უკანასკნელმა ძალების სწორი განაწილებით ბოლომდე შეინარჩუნა ბრძოლისუნარიანობა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა.

საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონი ი. ავერბახი ახლა 32 წლისაა. მან საჭადრაკო კარიერა დაიწყო მოსკოვის პიონერთა სასახლის საჭადრაკო კლუბში. 1944 წელს ავერბახმა მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება. 1949 წელს ახალგაზრდა ოსტატი ხდება მოსკოვის ჩემპიონი, ხოლო 1952 წელს სტოკჰოლმის საერთაშორისო ტურნირში მიღწეული წარმატებისათვის მიიღო საერთაშორისო გროსმაისტერის წოდება. ავერბახის ახალი გამარჯვება ყველაზე დიდია მის სპორტულ ბიოგრაფიაში.

ჩემპიონს ქულანახევრით ჩამორჩა გროსმაისტერი მ. ტაიმანოვი, რომელმაც დაუმარცხებლად, მაღალ დონეზე ჩაატარა შეჯიბრება. აღსანიშნავია, რომ სტარტზე მრავალი ყაიმის შემდეგ ტაიმანოვმა უკანასკნელი ათი შეხვედრიდან 8,5 ქულა მოიპოვა. მარტო ეს ფაქტი საკმაოდ მეტყველებს ახალგაზრდა მოჭადრაკის ზრდაზე.

საბჭოთა კავშირის XXI ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში თამაშების დამთავრების შემდეგ ასეთი მდგომარეობაა.

I ადგილი — ი. ავერბახი — 14,5 ქულა, II-III — მ. ტაიმანოვი და ვ. კორჩნოი — 13 ქულა თვითეულს, IV-V — ტ. პეტროსიანი და გ. ლისიცინი — 12,5 ქულა თვითეულს, VI — რ. ხოლმოვი — 10,5 ქულა, VII-VIII-IX — რ. ნეჟმეტდინოვი, ა. ხუეტინი და ს. ფურმანი — 10 ქულა თვითეულს, X-XI — ე. გელერი და ვ. ბივშევი — 9,5 ქულა თვითეულს, XII-XIII — ხ. ფლორი და გ. ბორისენკო — 8,5 ქულა თვითეულს, XIV-XV-XVI — ა. ლილიენტალი, ა. ბანიკი და გ. ილივიცკი — 8 ქულა თვითეულს, XVII-XVIII — ვ. რაგოზინი და ლ. შამკოვიჩი — 6,5 ქულა თვითეულს, XIX — ი. ლივშინი — 6 ქულა და XX — ა. სოკოლსკი — 5 ქულა.

ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ვიქტორ კორჩნოი ჩინებული მებრძოლია. მან შეძლო 10 პარტიის მოგება. კორჩნოი კომბინაციური მოთამაშეა. იგი ყოველ პოზიციაში ეძებს გართულებისა და ბრძოლის გაცხოველების გზებს. ასეთი მისწრაფება კი მოითხოვს დიდ ენერგიასა და ძალას. სწორედ ამის ნაკლებობა ,დაეტყო კორჩნოის უკანასკნელ ტურებში. მეორე-მესამე ადგილი, რომელიც კორჩნოიმ ტაიმანოვთან გაიყო, მისი თვალსაჩინო წარმატებაა ამით ახალგაზრდა მოჭადრაკემ დაიმსახურა საგროსმაისტერო ბალი (თუ შემდეგ ორ ჩემპიონატში კორჩნოი კვლავ დაიკავებს მეორე ან მესამე ადგილს, მას გროსმაისტერობა მიენიჭება).

მეტი მოეთხოვებოდა მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერ პეტროსიანს. იგი, სამწუხაროდ, ყაიმებით კმაყოფილდებოდა. მან და ფლორმა რეკორდი დაამყარეს 13-13 ყაიმით.

ტურნირმა მოგვცა მთელი რიგი საინტერესო პარტიები. მაღალი შეფასების ღირსია კორჩნოისა და ავერბახის მიერ მოგებული პარტიები გელერთან, ლილიენტალისა — ლივშინთან, ტაიმანოვისა — ლილიენტალთან, ბივშევისა — ფლორთან და სხვ.

გარკვეული წვლილია შეტანილი საჭადრაკო თეორიაშიც. გარდა იმისა, რომ ცნობილ დებიუტებში გამონახულია ახალი გაგრძელებები და სისტემები, შუა თამაშში გაუმჯობესდა, მაგალითად, პაიკთა ცენტრის შეტევის გეგმის განხორციელების მეთოდები. ამის კარგი მაგალითია კორჩნოის პარტია ლილიენტალთან. ჩემპიონატის პარტიების გულდასმითი ანალიზი უდავოდ ხელს შეუწყობს საბჭოთა მოჭადრაკეების თამაშის დონის ამაღლებას.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

მნიშვნელოვან საქმეს უგულებელყოფენ

თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, საშუალო და არასრულ საშუალო სკოლებში 1953 წლის გეგმები გადაჭარბებით იქნა შესრულებული. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით ყველაფერი რიგზე იყოს. ფიზკულტურულ-სპორტულ ზოგიერთ ორგანიზაციის მესვეურთ ჯეროვნად არ ესმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს გეგმების შესრულებას. ხშირად ისინი გეგმებს ასე ასრულებენ: ერთ დანაყოფში ცოტას გადააჭარბებენ, მეორეში ვერ შეასრულებენ და საშუალო მაჩვენებლებით ცდილობენ ფონს გავიდნენ.

ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში გეგმა მხოლოდ 89,9 პროცენტით იქნა შესრულებული. ცუდი მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარულ, თეატრალურ, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ და სამედიცინო ინსტიტუტებში, აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამიტომაა, რომ ორჯონიკიძის სახელობის რაიონმა, სადაც შვიდი უმაღლესი სასწავლებელია, თბილისის რაიონებს შორის უკანასკნელი ადგილი დაიკავა და ვერ შეძლო მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების 1953 წლის გეგმების შესრულება.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ტექნიკუმებში. მაგრამ ჩამორჩენილნი აქაც არიან. მაგალითად, პუშკინის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი, მექანიზაციის, რკინიგზისა და მეტალურგიული ტექნიკუმები.

მშთ II საფეხურის ნიშნოსნების მომზადების საქმეში ცუდი მდგომარეობაა საშუალო სკოლებში (ქალთა 38-ე, 21-ე, 34-ე, მე-3 და სხვ. სკოლები). ზოგი საშუალო სკოლის მასწავლებელი იმდენადაა გადატვირთული შეთავსებებით, რომ საქმეს სათანადოდ ვერ უძღვება. ქალთა 38-ე სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ვ. ჩიტიშვილი მთელ განაკვეთზეა ამ სკოლაში. გარდა ამისა, განათლების სამინისტროს ცენტრალურ სპორტსკოლაში მას სამი ჯგუფი აბარია. რა თქმა უნდა, იგი სამუშაოს თავს ვერ გაართმევს. სამწუხაროდ, ვ. ჩიტიშვილი გამონაკლისი არაა. ქალთა მე-19 საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. პაპაშვილი გამოცდილი პედაგოგია. იგი ამზადებს პირველთანრიგოსნებს, მაგრამ მშთ II საფეხურის არც ერთი ნიშნოსანი არა ჰყავს მომზადებული. რით უნდა აიხსნას ეს? იმით, რომ პაპაშვილიც გადატვირთულია შეთავსებით.

საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორმა საანგარიშო წლის უკანასკნელ დღეებამდე არ იცოდა, რომ მის სკოლას გეგმა აქვს და ამ გეგმას შესრულება უნდა. ასეთები არიან ქალთა 21-ე, ვაჟთა 21-ე, ქალთა 22-ე და სხვა საშუალო სკოლების დირექტორები.

ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმის განაღდება სახელმწიფოებრივი საქმეა. ამიტომ მის შესრულებას ყოველი მუშაკი კეთილსინდისიერად და მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეპყრას.

ა. სოსიაშვილი,
თბილისის ჯანმრთელობის დაცვის ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი.

ჰ ო კ ე ი ს ტ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ა მ ხ ა ნ ა გ უ რ ი შ ე ხ ვ ე დ რ ა

7 თებერვალს მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე მოეწყო საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა შაიბიან ჰოკეიში. შვეციის სასპორტო კლუბ ნაკას გუნდი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს მოწვევით, შეხვდა სასპორტო საზოგადოება „ზენიტის" მოსკოვის გუნდს.

თამაში მიმდინარეობდა საბჭოთა ჰოკეისტების უპირატესობით, რომლებმაც მოიგეს ანგარიშით 10 : 1.

(საქდესი).

ს პ ო რ ტ უ ლ ი ქ რ ო ნ ი კ ა

ქარელის საშუალო სკოლაში მოეწყო მოსწავლეთა პირველობა ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ დამწყები ტანმოვარჯიშეები. სკოლის ჩემპიონობა მოიპოვა მერვეკლასელმა თ. გაბარაშვილმა, მეორე ადგილზეა მერვეკლასელი რ. ღვინიაშვილი.

ზ. ქერექაშვილი.

• • •

სოფელ ქედლების (ხულოს რაიონი) 8 წლიან სკოლაში მოეწყო შიდასასკოლო შეჯიბრება გაზეთ „პიონერსკაია პრავდის" ჯილდოზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო პირველი, მეორე და მესამე პიონერული რაზმების 21-მა მოსწავლემ. განსაკუთრებით კარგი მომზადება გამოავლინეს პირველი რაზმის პიონერებმა. 2 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა მეორე რაზმის პიონერმა ნ. ქედელაძემ. კარგი მომზადება გამოავლინეს აგრეთვე რ. მესხმა, მ. შანთაძემ, გ. ჩოგაძემ, ა. ჩიტაძემ და სხვებმა.

ი. შავიძე

თ ბ ი ლ ი ს ი — ს უ რ ა მ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომკავშირის მოლოტოვის რაიკომმა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ მოაწყო რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი მოტოგადარბენა მარშრუტით: თბილისი-სურამი.

მოტოკოლონა დაიძრა მარქსის სახელობის მოედნიდან. სურამში მოტოგადარბენის მონაწილეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყო ხაშურის რაიონის ახალგაზრდობამ.

ლესია უკრაინკას ძეგლთან მიტინგი გახსნა კომკავშირის ხაშურის რაიკომის მდივანმა ამხ. მოწონელიძემ. ლაშქრობის მონაწილეებმა თაიგულით შეამკეს დიდი პოეტი ქალის ძეგლი.

ვ. ხითარიშვილი.

ი ნ გ ლ ი ს ი ს ფ ე ხ ბ უ რ თ ი დ ა ც ე მ ი ს გ ზ ა ზ ე

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის 90 წლისთავის აღსანიშნავად გასული წლის შემოდგომაზე, 21 ოქტომბერს ლონდონში გაიმართა საფეხბურთო მატჩი — ინგლისი-ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ნაკრება, ანუ როგორც მას უწოდებენ, „მსოფლიოს ნაკრები".

ასეთი შეხვედრა უწინაც გამართულა 1938 წელს ინგლისელებმა ლონდონში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს კონტინენტის ნაკრები, სადაც 5 იტალიელი, 2 გერმანელი, თითო უნგრელი, ნორვეგიელი, ბელგიელი და ფრანგი თამაშობდა. 1947 წელს ევროპის ნაკრები გლაზგოს ეწვია. „მსოფლიო" ამჯერად უფრო ჭრელი შემადგენლობით გამოდიოდა. აქ თამაშობდა 3 დანიელი, 2 შვედი, თითოც შვეიცარიელი, ირლანდიელი, იტალიელი, ჩეხი, ბელგიელი და ფრანგი. თამაში დამთავრდა დიდი ბრიტანეთის გამარჯვებით — 6 : 1. ამ მატჩებს ინგლისური პრესა კვეხნით უწოდებდა ინგლისი — მთელი დანარჩენი მსოფლიო.

1953 წლის 21 ოქტომბრის მატჩი ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო ინგლისელთათვის. ჯერ ერთი, მასში მონაწილეობა არ მიიღეს უნგრელმა ფეხბურთელებმა, რომლებიც უძლიერესნი არიან მსოფლიოში, მეორეც— უარი განაცხადა სამხრეთ ამერიკის ლიგამ და ფიფა (ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია) იძულებული იყო გუნდი ძირითადად ავსტრიულ ფეხბურთზე დაეკომპლექტებინა. საბოლოოდ ევროპის გუნდი მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ცემანი (ავსტრია), ნავარა (ესპანეთი), პოსიპალი (დასავლეთ გერმანია), ჰანაპი (ავსტრია), ჩაიკოვსკი (იუგოსლავია), ოსვირკი (ავსტრია), კუბალა (ესპანეთი), ვუკასი (იუგოსლავია), ბონიპერტი (იტალია), ნორდალი (იტალია), ცებეკი (იუგოსლავია). ინგლისის ნაკრებში თამაშობდნენ: მერიკი, რამსეი, ეფტონი, იკერლი, რაიტი, ვიკინსონი, მორტენსენი, კვიკსოლი, მეტიუსი, ლოფტხუზი, მელენი. მსაჯობდა გრიფიტსი (უელსი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4, მაგრამ საზღვარგარეთული პრესა ერთხმად ამტკიცებს, რომ ინგლისელებმა არსებითად წააგეს იგი. ამ მატჩს ესწრებოდა ევროპის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 200 ჟურნალისტი. მათი საერთო აზრია, რომ თამაშის ნამდვილი ანგარიშია 4:3 ე. წ. „დანარჩენი მსოფლიოს" სასარგებლოდ, ვინაიდან გრიფიტსის მიერ 90-ე წუთზე დანიშნული 11-მეტრიანი საჯარიმო ერთობ პრობლემატური და ანტისპორტული ზომა იყო. ამ საჯარიმომ უდიდესი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ფეხბურთის სამყაროში.

რაში იყო საქმე?

თამაშის დამთავრებას რამდენიმე წამი აკლდა. ინგლისელთა მარჯვენა გარემარბმა მორტენსენმა საჯარიმო მოედანზე მიიღო ბურთი და მაშინვე დაჰკარგა მასზე კონტროლი. ამ დროს მორტენსენმა თვალი მოჰკრა მისკენ სწრაფად გამოქანებულ ჩაიკოვსკის, დრო შეარჩია და ვითომ სარმისგან ძირს დავარდა. ეს სიმულაცია ისე მოხერხებულად იქნა ინსცენირებული, რომ მსაჯი ანკესზე წამოეგო. რამსეიმ 11-მეტრიანი გაიტანა და ინგლისელებმა დამარცხებას თავი დააღწიეს.

ცნობილი ფრანგი ფეხბურთის კომენტატორი გ. ანო წერდა „ფრანს ფუტბოლში": „დიდი ხანია ლაპარაკია იმაზე, რომ ინგლისურმა ფეხბურთმა, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი ფიზიკური და ტექნიკური დონით, ამჟამად შეწყვიტა პროგრესი და გაიყინა თავის ტრადიციულ ფორმებში. არავინ იფიქრებდა, რომ ეს მატჩი ფრედ დამთავრდებოდა, იმდენად ნათელი იყო ევროპის ნაკრების უპირატესობა. ინგლისელებმა ბოლოსდაბოლოს შეიგნეს, რომ მათ არ ძალუძთ ნაკრების წინააღმდეგ ბრძოლა, თუნდაც იგი სახელდახელოდ იყოს შემდგარი".

სხვა რეცენზენტი, ფ. ტებო „მიროარ-სპორტში" (საფრანგეთი) წერდა, რომ ფიფას ნაკრებს აშკარა უპირატესობა ჰქონდა და ინგლისელებმა დამარცხებას თავი დააღწიეს მორტენსენის მიერ გათამაშებული კომედიის წყალობით. 100 ათასი მაყურებელი მორიდებული, „ზრდილობიანი" ტაშით შეხვდა მატჩის შედეგს. დასასრულ ტებო აღნიშნავს, რომ ინგლისური გაზეთები იძულებული იყვნენ გრიფიტსის სასტვენი „შეცდომად" ეღიარებინათ. ჟურნალისტი დასძენს, რომ ახლა ყველასათვის გასაგებია, თუ რატომ მოითხოვეს უნგრელებმა 25 ნოემბერს ლონდონში საგარანტიოდ ნეიტრალური მსაჯი და გაიმარჯვეს კიდეც.

ს ა ზ ა მ თ რ ო კ რ ო ს ი

თელავის რაიონის სოფელ ფშაველის საშუალო სკოლის ფიზკულტურელებმა მოაწყეს 5, 3 და 8 კილომეტრიანი სათხილამურო კროსი. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა მოსწავლემ. 3 კილომეტრი მანძილი ყველაზე ადრე დაფარა ე. წიქარიძემ, 5 კილომეტრი ე. ბერიგიშვილმა, ხოლო 8 კილომეტრი — დ. ბერიგიშვილმა.

ა. სახიევი.

ფ ა ნ ტ ა ზ ი ი ს რ ე კ ო რ დ ი

ჰიტლერული არმიის უნტერ-ოფიცრის ქვრივმა ჰერტრუდა დიურიპენმა, რომელიც ჰამბურგში ცხოვრობს, თვალი მოჰკრა თუ არა ხიმძიმეების აწევაში ახალი მსოფლიო ჩემპიონის ნიკოლოზ საქსონოვის ფოტოს, წამოიძახა: „ღმერთო ჩემო! ეს საქსონოვი არაა, ეს ჩემი ქმარია!"

ქალბატონი დიურიპენის ავადმყოფური წარმოსახვით შექმნილი „აღმოჩენა" დაუყოვნებლივ იქნა გამოქვეყნებული ფათერაკების მაძებარ დასავლეთგერმანულ რეაქციულ ჟურნალში „ქუისკ". ამ დონ-კიხოტურ ჟურნალს შესაფერი მეცენატიცა ჰყავს — იგი ამერიკული სახსრებით გამოდის და ცნობილია თავისი მისწრაფებებით იაფფასიანი ბულვარული სენსაციებისა და ფოტოსიყალბისადმი. „ქუისკმა" დაბეჭდა უნტერ-ოფიცრის ქვრივის პორტრეტი და გვერდით მოათავსა მისი ქმრის ვალტერ დიურიპენის სურათი.

დაუპირისპირა რა 1942 წელს რუსეთში დაღუპული გერმანელი მფრინავის პორტრეტი საბჭოთა სპორტსმენის ნიკოლოზ საქსონოვის პორტრეტს, რომელიც გადაღებულია 1953 წელს შვეციაში მსოფლიო პირველობაში გამარჯვების შემდეგ, ჟურნალმა თავის მხრივ „ავტორიტეტულად" დაასკვნა, რომ ამ ორი ადამიანის „აბსოლუტური" მსგავსება არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ქალბატონ დიურიპენთან საუბრის დაბეჭდვის შემდეგ, რომელსაც სენსაციური სათაური ჰქონდა: „ჩემი ქმარი საბჭოთა კავშირში ცხოვრობს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით", ჟურნალი იტყობინება, რომ ჰერტრუდა დიურიპენი მოუთმენლად ელის მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს ხიმძიმეების აწევაში, რომელიც ვენაში ჩატარდება, რომ აქ შეხვდეს თავის მკვდრეთით ამდგარ საყვარელ მეუღლეს.

ჟურნალ „ოგონიოკის" კორესპონდენტი სვერდლოვსკში ეწვია ნიკოლოზ საქსონოვს და აჩვენა მას გერმანული ჟურნალი. საბჭოთა სპორტსმენის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა.

მან განაცხადა:

„— თურმე მე ნიკოლოზ საქსონოვი კი არა ვალტერ დიურიპენი ვარ. გამოდის, რომ მე 15 წელია სვერდლოვსკში არ ვცხოვრობ, თურმე დიდი სამამულო ომის წლებში მე საბჭოთა არმიის რიგებში არ მიბრძოლია და, ბოლოს, მე კი არა დიურიპენს აუღია მსოფლიო პირველობა შტანგაში. რა პასუხის გაცემა შეიძლება ყველაფერ ამაზე? მხოლოდ ერთისა: სულელური, უგუნური როშვა და ჭორია. ნ. საქსონოვი —ნ. საქსონოვია, შეცდომაში შესული ქალბატონი ჰერტრუდა დიურიპენი და „ქუისკის" ყალბისმქნელები უნდა შეურიგდნენ ამ სინამდვილეს".

მართლაც, ვნებააშლილ ქალბატონ ჰერტრუდას მეუღლის, ჰიტლერელი მფრინავის ვალტერ დიურიპენის ძვლები კარგა ხანია დალპა იმ მიწაში, რომლის დასაპყრობადაც იგი იყო გამოგზავნილი. ამიტომ ტყუილად ნუ დაიხარჯება ქალბატონი ვენაში წასვლით. ხოლო მისი ცრუმოწმის ჟურნალ „ქუისკის" აღიარება შეიძლება რეგისტრირებულ იქნას, როგორც ფანტაზიის რეკორდი.

ჟურნალ **„ოგონიოკიდან".**

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ფოტოსიყალბე ჟურნალ „ქუისკში" (მარცხნივ). ნიკოლოზ საქსონოვი და მისი მეუღლე ტატიანა პავლეს-ასული განცვიფრებით ათვალიერებენ „ქუისკის" სიცრუეს.

ს ა გ უ ლ ი ს ხ მ ო ც ი ფ რ ე ბ ი

შვეიცარიულ გაზეთ „სპორტს" მეტად საგულისხმო ციფრები მოჰყავს იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატიდან. იტალიის გუნდებში, რომლებიც პირველობაში მონაწილეობენ, თამაშობს 85 უცხოელი: 11 დანიელი, 9 შვედი, 7 სამხრეთ ამერიკელი, 2 გერმანელი, 2 ნორვეგიელი და 1 თურქი. ყველა ისინი ფეხბურთის კლუბების მიერ სხვადასხვა დროსაა ნაყიდი.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უფ 00929